წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე.
რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30.
პირველი სართული.

შაბათი 11 ნოემბერი
1922 წ.

№ 140

ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო

№ 140

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული თბილისში.

უსაზღვრო სიხარულით, აღტაცებით და ენტუზიაზმით ჩატარდა ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ხუთი წლის თავის დღესასწაული თბილისში და არმიის სხვა და სხვა ნაწილებში.

ჩვენი ყაზარმები: შემოსილი წითელი დროშებით და ხალიჩებით, შემკული სხვა და სხვა-ფერ პლაკატებით და ნაძვის შტოებით, გაბრწყინვებულნი ილიუმანციებით და სხვა და სხვა ფერზე მოლაპლაპე ელექტრონებით, სწორედ, რომ იმ საზღაპრო ოცნების მხარეს მოგაგონებდა ადამიანს, რომელიც ეგრე ტკბილად, ეგრე ნაზათ ათრობს და ატოკებს ყველას გულს.

არც შეიძლებოდა სხვა ნაირად მომხდარიყო, რადგან დიადია ეს დღესასწაული, და აი კიდეც ამისათვის იყო, რომ ღირსეულად შეხვდნენ მას, თბილისის თითქმის ყველა მცხოვრებნი.

განა თბილისს, ოდესმე უნახავს ასეთი დიდი დღესასწაული? განა განუცდია თბილისს ოდესმე ასეთი უსაზღვრო სიხარული და აღტაცება მოზღვავებულ უამრავ ხალხისა?

არა ..

და ეს ზეიმი იყო მიზეზი იმისა, რომ ის „ურწმუნო თომანიც“ კი, რომლებიც უნდობლათ უყურებდნენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, ძალა-უნებურად შეუერთდნენ ამ ზეიმს, და ჩვენი გმირული წითელი არმიის რკინის რიგების დანახვაზედ, მათდა-უნებურად ტაშსაც კი სცემდნენ, რაიც მაჩვენებელია იმისა, რომ არა თუ მშრომელნი, არამედ სულ უქმად მყოფნი წვრილ-ბურჟუაზიული და ე. წ. ნეიტრალური ინტელ-გენციის წევრებიც კი, აღტაცებით შეუერთდნენ ამ ზეიმს და ამნაირად დაანახვეს ქვეყანას თავისი, არც ისე შეურიგებელი დამოკიდებულება საბჭოთა ხელის-უფლებასთან.

საინტერესოა: სად ბრძანდებოდნენ ამ დღეს მენშევიკები, ფედერალისტები და სხვა საბჭოთა ხელისუფლების მტერნი და ორგულნი, რომლებიც მუდამ დღე—ყვავ-ყორნებივით სჩხაოდნენ, რომ ხალხი ჩვენთან არის, რომ ხალხი ჩვენ გვიჭერს მხარსო.

ნუ თუ ვერ ხედავდნენ მათი დაბრმავებელი თვალები—იმ დიდ ენტუზიაზმსა და აღტაცებას, რომელსაც მისცემოდა მრავალ-რიცხოვანი მასსა დიდი თბილისისა?

ნუ თუ ამ ვაჟბატონებს კიდევ ექნებათ გაბედულება ილაპარაკონ ფართო მასსის ან მშრომელი ხალხის სახელით?

მაგრამ კმარა.

ალბათ ისინიც გრძნობენ ამ თავის ულვთოდ გაკოტრებას და მონანიებისთვის ალბათ მალე შეუდგებიან მომზადებას.

ოლონდაც...

ჩვენ კი, რომლებიც გადავედით ოქტომბრის რევოლიუციის მეექვსე წელში, ამ დიდი დღესასწაულის დიადათ ჩატარების შემდეგ, კიდევ უფრო მეტის ენერგიისა და ინიციატივის გამოჩენა გვმართებს.

ჩვენ უნდა შევქმნათ უძლეველი წითელი არმია, უნდა ავაღორძინოთ სასოფლო მეურნეობა და მრეწველობა, უნდა უზრუნველვყოთ შრომის-სამეფო ეკონომიურად, და მაშინ კი, მომავალ წლისთვის—კიდევ უფრო მეტის ენტუზიაზმითა და სიხარულით შევხვდებით ექვსი წლის თავს ოქტომბრის დიადი რევოლიუციისას.

გაუმარჯოს მას!!!

საჭიროა ვემზადოთ.

ამხანაგ წითელ არმიელებმა უნდა იცოდნენ თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს გაზეთს „წითელ-არმიელს“ ჯარის ცხოვრებაში. ჩვენი გაზეთის საშუალებით ხდება აღნუსხვა ჩვენი ჯარის ცხოვრებისა. ჯარში ხშირად აქვს ადგილი უარყოფით მოვლენებს, რომლის შესახებ ყოველ წითელ არმიელს აქვს უფლება აცნობოს თავის საკუთარ გაზეთის „წითელ არმიელის“ რედაქციას და ის კი გამოაქვეყნებს ყოველივეს. ძალიან ხშირათ ყოფილა შემთხვევები ბოროტმოქმედებისა ნაწილებში, რაზედაც დასწერდენ ჩვენს გაზეთში წითელ-არმიელები და დამნაშავენი ამის შემდეგ სასტიკ. პასუხისგებაში იქმნენ მიცემულნი. რამდენათ შეიგნებენ ამხანაგი წითელ არმიელები თავისი გაზეთის მნიშვნელობას თავისივე ცხოვრების ყოველმხრივ გაუმჯობესების საქმეში. იმდენათ მეტის ყურადღებით მოეპყრობიან მის არსებობას.

ჩვენი რედაქცია მიმართავს ამხანაგ წითელ არმიელებს, რომ ჩვენი გაზეთი „წითელი არმიელი“ მატერიალურის მხრივ მეტად შევიწროვებულ მდგომარეობაშია. საჭიროა ენერგიული დახმარება თვით წითელ არმიელების მიერ, რომ გაზეთი ფეხზე დადგეს, გაუმჯობესდეს და განაგრძოს მისი მოვალეობის პირნათლად შესრულება.

თუ რა სახეს მიიღებს წითელ-არმიელების დახმარება გაზეთის მიმართ ამის შესახებ ვრცელი წერილები დაიბეჭდება შემდეგ კვირაში. ახლა კი ვაცნობებთ ამხანაგ წითელ-არმიელებს, რომ **ემზადონ გაზ. „წითელ-არმიელის“ კვირისათვის.** ორშაბათიდან დაიწყება გაზ. „წითელ-არმიელის კვირა,“ როდესაც **ყველა ნაწილებში უნდა მოეწყოს** მიტინგები გაზ. „წითელ-არმიელის“ ჩვენი ჯარისთვის მნიშვნელობის შესახებ, უნდა არჩეულ იქმნეს კომისია ერთდროულ დახმარების შესაკრებათ და შემდეგ თუ ამხანაგი წითელ არმიელები საერთო კრებაზე დაადგენენ გადასდონ რეგულიარულათ მაგალითად ხუთ-ხუთი ათასი მანეთი გამართონ სპეციალურათ ფასიანი წარმოდგენები და სხვა.

შოვილი ეს საშუალება აუცილებლათ უნდა გატარდეს ცხოვრებაში თუ გვინდა, რომ ჩვენმა გაზეთმა იარსებოს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი გაზეთი ისე შესისხლხორცდა ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრებასთან, რომ მის გაჭივრებას თუ დალხინებას— ყველა წითელი არმიელი უკვე უნდა განიცდიდეს.

ამისათვის, კიდევ მოვაგონებთ ამხანაგ წითელ არმიელებს, რომ ემზადონ „გაზეთ „წითელ არმიელის“ კვირის“ ჩვენს ჯარში ღირსეულად ჩასატარებლად.

ქ. ხ.

სანიტარული ზომების გატარების გარშემო.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს დივიზიის მასშტაბით საერთოდ რომელიმე სანიტარული კომპანიის გატარების დროს მაგალითად, როგორიც არის ეს მალიარიის ტიფის და ხოლერის საწინაღმდეგო აცრა ან და სხვა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამგვარ ავადმყოფების თავიდან აცილების და მისი გავრცელების შესუსტების მიზნით მით უმეტეს მალიარიისა, რომელსაც შეპყრობილი ყავს თითქმის მცხოვრებთა უმეტესობა და რაც ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ბევრ ადამიანებს ასალმებს წუთი სოფელს. ყოველივე აღნიშნულ ავადმყოფობების გავრცელების ძირიან ფესვიანად ამოფხვრის მიზნით საბჭოთა მთავრობა, კერძოთ ჯანმრთელობის კომისარიატი ებრძვის მას.

ამავე მიზნით დივიზიის მასშტაბში არსებობს დივიზიის სანიტარული განყოფილება, მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ სანიტარული კომპანიის ჩატარების დროს წითელი არმიელები გაურბიან აცრას და სხვა წამლობასაც რასაც უნდა მოეღოს ბოლო.

აღნიშნულ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ეწყობოდეს სისტემატიური ლექციები ადგილებში, სადაც დასწრება განურჩევლად თანამდებობისა უნდა იყოს სავალდებულო სანიტარიის შეთვისების სარგებლობის გაგების მიზნით.

აგრეთვე უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეში ადგილებში არსებულ სანიტარულ კომისიებმა და საერთოდ კი ნაწილებმა ან დაწესებულების უფროსებმა.

რათა მტკიცეთ ტარდებოდეს ზემოთ აღნიშნული სანიტარული კომპანიები ცხოვრებაში.

ქ. გვალია.

დღევანდელი ცნობები

— ანგორასა და ანტანტას შორის დამოკიდებულება თანდათან რთულდება.

— სტამბოლში იმართება მოკავშირეთა საწინააღმდეგო დემონსტრაციები.

— ირლანდიაში მოხდა შეტაკება მთავრობის ჯარებსა და აჯანყებულებს შორის.

— უნგრეთში სიძვირის ნიადაგზე გაფიცვების ტალღა მოედო მთელ მხარეს

ახლო აღმოსავლეთის ამბები.

— დიდი ეროვნული ყრილობის მიერ სტამბოლის გუბერნატორად დანიშნულმა რეფიდ-ფაშამ განუცხადა მოკავშირეთა კომისრებს, რომ იგი არა სცნობს მუდანის ხელშეკრულებას და არ დაუშვებს ქალაქზე მოკავშირეების კანტროლს.

— სტამბოლის ზოგიერთ უბნებში გაიმართა ქემალისტების დიდი დემონსტრაციები. მანიფესტანტებსა და მოკავშირეებთა შორის მოხდა შეტაკებები.

— სტამბოლის მდგომარეობა რთულდება. სტამბოლში, სკუტარაში და ქალაქის სხვა მიდამოებში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებებს. რეფიდ ფაშას ჰყავს საგრძნობი შეიარაღებული ძალები.

— გაზ. „ჩიკაგო ტრიბუნი“ იუწყება. რომ სტამბოლის მთავრობა გადადგა. სევრის ხელშეკრულების ყველა ოფიციალურ დოკუმენტებს ანგორის მთავრობის წარმომადგენლებმა კონფისკაცია უყვეს.

— ანგორის მთავრობამ გადასცა მოკავშირეებს სამი ნოტა, რომელშიაც მოითხოვენ სტამბოლის ევაკუაციის, სრუტეებზე ოსმალეთის კანტროლის დაწესებას და რკინის გზების ნაციონალიზაციას.

— სტამბოლში მოხდა შეტაკება ინგლისის პოლიციასა და მანიფესტაციებს შორის. მოკლულია 4 ოსმალო და 1 ინგლისელი პოლიციელი.

სხვა და სხვა ამბები

საბერძნეთი

— გაზეთების ცნობით, მეფე კონსტანტინეს წინააღმდეგ შემდეგი მთავარი ბრალდებებია წამოყენებული: 1) კონსტიტუციის დაზღვევა მომქმედ ჯარის შენახვის მიმართ, 2) ყოფილი მეფე იყო რა დარწმუნებული, რომ მის გადადგომას ექნებოდა დიდებითი გავლენა სახელმწიფოებრივ საკითხების გადაწყვეტაზე არ დაიჩქარა ტახტზე უარის თქმა, 3) ყოფილმა მეფემ მთავარ სარდლის თანამდებობა დასტოვა მტრის წინმსწლელობის მომენტში.

გერმანია

— საქსონის ლანდტაგის არჩევნების დროს კომუნისტებმა მიიღეს 100.000-დე ახალი ხმები.

იტალია

— რომიდან იტყობინებიან, რომ დანუნციის ლეგიონები. ადგილობრივი ფაშისტების და ნაციონალისტების დახმარებით ამზადებენ ახალ გადატრიალებას ფიუმეში მისი იტალიასთან შემოსაერთებლად.

— მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მუსოლინმა აღნიშნა, რომ იტალიაში მშვიდობიანობა დამყარდა და განაცხადა, რომ თავის მხრივ ის შინაურ პოლიტიკაში შეეცდება ეროვნულ დისციპლინის და წესრიგის აღდგენას ის საქმით დაამტკიცებს, რომ დაუშვებელია სახელმწიფოში, სახელმწიფოს არსებობა. საგარეო პოლიტიკის შესახებ მუსოლინმა განაცხადა, რომ შიში, თითქოს ფაშისტების ხელში ძალაუფლების გადასვლის შემდეგ, საერთაშორისო მდგომარეობა გართულდებოდა უსაფუძვლო გამოდგა. ამას საუკეთესოდ ამტკიცებს ის, რომ ბირჟაზე ფულის კურსმა აიწია.

ინგლისი

— ბონარ-ლოუმ განაცხადა, რომ საკითხი ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ, არის მთელი საგარეო პოლიტიკის მასალები. თუ ინგლისი ვერ შეუთანხმდა საფრანგეთს ევროპაში ქაოსი გამეფდება, რომლის შემდეგებიც საშინელი იქნება.

საფრანგეთი.

— „იუმანიტე“ იუწყება, რომ საფრანგეთის მუშები უარს ამბობენ სამუშაო ხელფასზე არსებულ გადასახადის შეტანაზე. პოლიცია აწარმოებს გადასახადზე უარის მყოფელთა მუშების ქონების აწერას. ქალაქ სევრანში მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას რომელსაც სურდა მუშებისათვის ქონების ჩამორთმევა. მუშებმა მოაწყეს დემონსტრაცია გადასახადის წინააღმდეგ.

ირლანდიაში.

— მთავრობის ჯარებმა იერიში მიიტანეს დე-ვალერის მხვარი შტაბის შენობაზე. დუბლინში სროლის დროს მძიმედ დაიჭრა აჯანყებულთა შტაბის უფროსის თანაშემწე. დატუსაღებულია ცნობილი რესპუბლიკანელი ქალი მაკ-ოვინი.

დიდი ოქტომბერი

ზღვა აბობოქრდა და ცეცხლის ხმებში
ოქტომბერი წარმოიშვა,
ო, როგორ მახსოვს გარდატეხა,
ძველის ახალზე!.
როს ცეცხლის გმებში ახმაურდა
დიდი მოსკოვი.
და პეტროგრადი ბრძოლის ველზედ
ალში ეხვია,
დროშა წითელი ეცემოდა
დიდ ბრძოლის შემდეგ
და შავი ხელი ბოროტების
მას კვლავ დაედო
მაგრამ მეხივით ახმაურდა
ქუჩა, ქარხანა
და ოქტომბერით გაცხოველდა
ომი მრისხანე,
ამაღლდა დროშა, ოქტომბერიც
წითელ სამოსში
ვით პატარძალი გაიფურჩქნა
წითელ წიაღზე.
ცეცხლის ზვირთებით ახმაურდა
ქარხანა, ქუჩა;
და დიდ ოქტომბერს ძლევა მოსილს
თაყვანის ცემით-
თებერვლის მეფე ქედს უხრიდა
შიშით ცახცახით.
ცეცხლის დროშები ამშვენებენ
სიმართლის კოშკებს,
და ოქტომბერიც დღესასწაულობს
ხუთი წლის ბრძოლის
ხუთი წლის შრომის გამარჯვების
ბრწყინვალე შედეგს.
ზღვა აბობოქრდა და ცეცხლის ხმებში
ოქტომბერი წარმოიშვა,
ო, როგორ მახსოვს გარდატეხა
ძველის-ახალზე;
როს ცეცხლის ხმებში ახმაურდა
დიდი მოსკოვი,
და პეტროგრადი ბრძოლის ველზედ
ალში ეხვია.

გოგიტო ციმბირელი.



მესამე ათასეული ახალციხეში.

მესამე ათასეულის მისვლამ ახალციხეში ცხოვრება გამოაცოცხლა. მისვლის მესამე დღეს მოეწყო ალლუმი, სადაც სიტყვები წარმოსთქვეს: ალმასკომის თავმჯდომარემ, პარტკომის მდივანმა გაბუნიამ ათასეულის სამხკომმა ამხ. ჩხიკვიშვილმა და ათასეულის თავმა ამხ. მესხმა. შემდეგ ათასეულის შეფობა მიიღო მაზრის ალმასკომმა. საღამოს გაიმართა შევარდენთა ტანთვარჯიში და შემდეგ კი უფასო წარმოდგენა საღამო, რაიც ერთობ მხიარულად დასრულდა. შეფი შეჰპირდა დახმარებას და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ ასეთს მივიღებთ საჭიროების დროზე.

ნ. ტყეშელაშვილი.

ოქტომბრის დღეობა 1-ლ ლეგიონში.

მთელი ყაზარმა წითელ დროშების ტყეში სცურავდა და გირლიანდებით იყო აგვირგვინებული.

ოთხი დღე გრძელდებოდა ზეიმი.

5-ში დილით მოხდა დაახლოვება ჩვენი არმიელებისა მუშებთან, (სამხედრო წისქვილის, პურის-საცხობის და სას. მაღაზიისა) რომელთაც მოვიძღვნეს წითელი დროშა ჩარჩოში ამ წარწერით: „პირველ ლეგიონის გმირებს“ გაიმართა მიტინგი. საღამოს იქმნა წარმოდგენილი ამ დღისათვის საგანგებოდ დაწერილი პიესა. ჩვენი ლიტ. წრ. ხელმძღვანელის მიერ „ოქტომბრის დღეები პეტროგრადის ქუჩებში“ სურათი „სასახლის შტაბში“ და აპოთეოზი „გამარჯვებისა“. შემდეგ გამართულ იქმნა გასამართლება ოქტომბრის რევოლუციისა, დივერტისმენტი და კინო.

6-ში დილით იყო „პარადი“ სადაც დასაჩუქრებულ იქნენ სამოქალაქო ომის გმირები. შემდეგ გაიმართა შეჯიბრება-სპორტი და იარაღში გამოცდები გამარჯვებულთ დაურიგდათ საჩუქრები. საღამოთი გვეწვივნენ ამხ. ფ. მახარაძე და თ. კალანდაძე მოხსენებით. შემდეგ წარმოდგენილ იქმნა „მარატი“ და „ცოცხალი სურათები“ 7-ში დილით დიდუბეში საერთო პარადში ვიყავით და საღამოთი წამოდგენილი იქნა „რევოლიუციის რიჟრაჟზე“ დასასრულ ვახშამი მთელ ამ სამი დღის განმავლობაში საჭმელი გაუმჯობესებული იყო (სამი თავი) 8-ში საღამოთი გამართულ იქმნა „ცოცხალი გაზეთი“ და დივერტისმენტი შემდეგ კინო.

ამ დღეებისთვის საგანგებოთ იქმნა გამოშვებული საგამ. წრის მიერ დიდი ფორმატის კედლის გაზეთი „წითელი დროშა“

სალამი ყველა მონაწილეებს.

იყო.

დახმარების მიღების შესახებ.

გაზ. „წითელ არმიელის“ №123, მოთავსებული იყო წერილი ამხ. გ მახარაძის მიერ სათაურით „ვისი ბრალია“. ხსენებული მახარაძე ეხება № 3 დიკრეტს და აღნიშნავს, რომ მეორე ლეგიონის წითელ არმიელები ვერ ღებულობენ ოჯახებზე დახმარებას და უნდა გაიგოს, თუ ვინ არის ამის მიზეზი. უნდა იცოდეს ამხ. მახარაძემ, რომ ამაში მეორე ლეგიონს სრულებით არ მიუძღვის ბრალი, არამედ სხვებს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე წითელ არმიელს სათანადო მოწმობა მოეტანოს და ის სამაზრო კომისართან გადაგვეგზავნოს. რომ მაზრაში თავის დროზედ ვერ ღებულობენ დახმარებებს და ვგონებ სრულებითაც არ მიუღიათ, ეს ჩვენც გავიგეთ რის შემდეგ სარკომის და ლეგ. თავის მიერ აღძრულ იქნა შუამდგომლობა, რომ არმიელებმა მიიღონ დახმარებები ლეგიონში. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ ეს თხოვნა იქნება დაკმაყოფილებული და დახმარებებს წარსულიანად მიიღებენ ლეგიონში. ამხ. მახარაძეს არ ვიცი რათ დასჭირდა, ამის შესახებ გაზეთში წერილის მოთავსება, როდესაც მან კარგად იცოდა დახმარების არ მიღების მიზეზები. ალბათ ამხანაგს უნდოდა გაეცნო საზოგადოებისათვის, რომ ის გაცილებით მეტი დამცველია წითელ არმიელების ინტერესებისა, ვიდრე სამხკომი და ლეგთავი, მაგრამ ეს კარგათ იციან ჩვენმა არმიელებმა, თუ ვინ უფრო იცავს მათ და არ სჭირია განმარტება.

ყარაჩოღელი.

ერთგული კლუბის გამგე.

აგერ ოთხ თვეზე მეტი არის რაც, რესპუბლიკის მცვ. მხლებ. რაზმების კლუბის გამგეთ არის ამხანაგი ლომიძე. ამ ხნის განმავლობაში ამხ. ლომიძეს უხდებოდა მუშაობა სცენაზედ. ის კიდეც ხატავს, სწერს კედლის გაზეთს, ჟურნალს და კარიკატურებს. ერთი სიტყვით მარტო მუშაობდა და არც თანაშემწე ყოლია აქამდე. მაგრამ ერთი „უბედურება“ დასტრიალებს ხსენებულ ამხ. თავზე: ძალიან ლმობიერი ხასიათის არის და ამისათვის დაიარება დაგლეჯილი და ნახევრათ ფეხშიშველი, დახეულ ფეხსაცმელებშია ოთხი თვე უჯამაგიროდ არის და თავის ვალდებულებას პირნათლად ასრულებს. ის არ მოითხოვს თავისთვის არაფერს. ამისთანა კაცს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რათა ის იყოს ჩაცმული და დაკმაყოფილებული. ამხ. ლომიძე ერთგული მშრომელია, რომელიც თავის მოვალეობას ასრულებს პირნათლათ.

„ვაია“

კოოპერაცია.

კოოპერაციის შესახებ

(მოხსენება საინჟენერო ათასეულის კომუჯრედის მორიგ ღია კრებაზე ე. გოგოლაძის მიერ გაკეთებული).

(გაგრძელება)

ამნაირი—გლეხთა წვრილი ბანკების დანიშნულება იმაში იყო, რომ ზოგსა, ვისაც შესაძლოთ მიაჩნდა, ფული შეჰქონდა ამ ბანკში შესანახათ და ამისათვის ის ღებულობდა პროცენტს რამოდენიმე ხნის შემდეგ. მეორე მხრივ კი-ბანკიდან სესხი გაჰქონდათ გლეხებს მცირეოდენი პროცენტით.

შემდეგ თანდათან ვითარდება მოთხოვნილება სამეურნეო კოოპერატივების დაარსებაში, რომელიც დაისახავდა მიზნათ უმთავრესად სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებას და განაღდებას.

ასეთი იყო ქუთაის გუბერნიის მეაბრეშუმეთა საზოგადოება, რომელიც პირველათ დაარსდა 1899 წელს. ეს საზოგადოება (მისი გამგეობის მეოხებით) თავის წევრებისაგან ყიდულობდა პარკს, რომლისაგან ყვდებოდა ძაფი და აგრეთვე გაჰქონდათ საზღვარ გარეთ გასასყიდათ. ამავე დროს ეს ამხანაგობა აწვდიდა თავის წევრს აბრეშუმის თესლს. თავის არსებობის 15 წლის განმავლობაში ამ ამხანაგობამ ძლიერ განავითარა აბრეშუმეულობის გაკეთების საქმე ქუთაისის გუბერნიაში: ადგილობრივ, სოფლებში აკეთებდნენ მშვენიერ აბრეშუმის (ყაჯის) ძაფს და ქსოვდნენ მაღალ ხარისხის დარაიას. მაგრამ ომი აგან გამოწვეულმა ეკონომიურმა არევდარევამ, საზღვრებისდახურვამ (ბლოკადამ) ამხანაგობა ძლიერ დაასუსტა ნივთიერად და ის გაუქმებულ იქნა.

ასეთივეა კოოპერატიული ამხანაგობა „კახეთის მევენახეთა კავშირი“. ეს კავშირი დღესაც არსებობს (დაარსდა 1902 წელს) და განაგრძობს საქმიანობას. ყიდულობს ყურძენს თავისი წევრებისაგან, ამუშავებს მას ღვინოთ და ასაღებს. წევრებს სამაგიეროდ აწვდის ვაზის წამლებს, (გოგირდი, შაბიამანი, კირი) იარაღს და ხელსაწყობს, კოოპერატიული ფორმით მუშაობს აგრეთვე ამხანაგობა „წყემსი“, რომელიც აერთიანებს აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეებს; მეთამბაქოეების-აფხაზეთში(სოხუმის ოლქი,)

შედარებით გვიან დაარსდა მომხმარებელთ საზოგადოებები. მაგალითად პირველი კოოპერატიული დუქანი დაარსდა 1900 წ. ბათომში, შემდეგ თბილისში და სხვაგან მსხვილ პუნქტებში. აქედან ჩანს, რომ საქართველოში მომხმარებელი კოოპერაცია სხვა სახის კოოპერაციათ შორის არის ყველაზე უფრო ახალი. მას დიდი გამოცოცხლება ეტყობა იმპერიალისტური ომის ხანებში, რომლის დროს სურათი ზრდისა ამნაირია: 1916 წელს არსდება 199 საზოგადოება; 1917 წ.—565; 1918 წ.—953, 1919 წელს დაარსდა 989 კოოპერატიული საზოგადოება. ომის შემდეგ გავრცელება შეჩერდა და პირიქით მოხდა ზოგიერთი საზოგადოების ლიკვიდაცია. 1920 წელს საქართველოში მოქმედებდა 903 საზოგადოება, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 1.200.000 სულზე მეტი. ამ კოოპერატივებს ქონდათ საკუთარი: ელექტრონის სადგური—1., წისქვილი—3., საფეიქრო სახელოსნო—2., ფურნე—5., აგურკრამიტის ქარხანა—1., ფეხსაცმელების სახელოსნო—7 და სასადილო—10.

(დასასრული იქნება)

ნარკომპროდის პურს ცხობში.

ნარკომპროდის პურსაცხობში
ერთიც ვნახოთ იქ რა ხდება
კარგსა ფქვილსა რომ იღებენ
ცუდი პური რათა ცხვება.

თუ პურის გემოს გაიცნობთ
ვაი თქვენს ბედის წერასა

მუცელში გრგვინვას აგიტეხს
გალავიბრუნებს კერასა.

წამლები აღარ გიშველის
დაგიწყებს გული ძგერასა,
ექიმი რომ მოიწვიო
ის ვერ გახდება ვერასა

მარხი. *)

თორემ ბოლო მოეღოს
ამა ამბებს როდისა?!

რომ ყური აეწიოთ
მოიჯარადრეებს;
ვგონებ უკვე დრო არის
იწყევლიდნენ დღეებსა.

დაშნა.

---

*) პურთან ერთად არ ვარგა
ხორცი ცუდი და მყრალი
ნუ თუ „პოდრიადჩიკნი“
ჯარზედ არიან მწყრალი!

საჭიროა ფხიზლობა
ჩვენი „ნარკომპროდისა“

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. **რედაქტორო!**

გაზ. „წით. არმიელის“ № 133-ში მოთავსებული შენიშვნა „რაზედ გვწერენ“ ზოგიერთ ერთეულების მიერ—სურსათ-სანოვაგის ქართულ დივიზიის სასურსათო მომარაგების განყოფილების მიერ გაუცემლობის გამო, არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან მოხსენებული განყოფილება ყოველთვის პროპორციონალურად ანაწილებს იმ სურსათ სანოვაგეს, რასაც იღებს იგი ვისგანაც ჯერ არს, მაინც და მაინც ჩემის აზრით სიმართლის აღსადგენად საჭიროა გაზეთ „წითელ არმიელის“ საშუალებით კონკრეტიულად გაამხილოთ, სახელდობრ, რომელ ჯარის ნაწილებმა, რომელ თვეში რა და რა სურსათ-სანოვაგე არ მიიღეს, რის შემდეგ ამავე გაზეთის საშუალებით მოგცემთ დაწვრილებით განმარტებას აღძრულ საკითხის შესახებ*).

სასურსათო მომარაგების ,
უფროსი **ა. შამშურინი.**
სამხედრო კომისარი
ვ. ბახტაძე.

---

*) რედაქციას ჰქონდა სხვადასხვა ნაწილებიდან ამის ცნობები, მაგალითად პირველი ლეგიონი, არ მიუღიათ: აგვისტოს მთელი თვის შაქარი 75 ფ. თუთუნი ნახევარი თვის ღერღილი (ხორბალი) ნახევარი თვის. ბოსტნეულობის მაგიერ მიიღეს მატლიანი, გამხმარი „ოვოშჩი“. სექტემბრის მთელი თვის ზეთი, ოქტომბრის მთელი თვის ბოსტნეულობა (კარტოფილი, ხახვი). ასეთი იყო ცნობები იქიდან გამოგზავნილ მრავალ კორესპონდენციებში.

რედაქცია.

ნება დართულია სამხედრო ცენზორისაგან.
პასუხის-მგებელი რედაქტორი პ. ქუთათელაძე.

მის სათანადო საფეხურზე დაყენე- | სათანადო დონეზე დაყენებული. ე